

მედალიონები



ტონდო წმინდა მამაის გამოსახულებით

გელათი, მოქრული ვერცხლი, დიამეტრი 20 სმ. ხელოვნების მუზეუმი, შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნება, XI საუკუნე



რუსუდანი

საქართველოში დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი თამარ მეფის ასულის, რუსუდან დედოფლის ხანაში მოჭრილი მონეტები. გამორჩეულია ვერცხლის მონეტა, რომელიც 1230 წელსაა მოჭრილი.

მონეტას ქართული მინაწერი ამშვენებს. "რუსუდან". "დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი".



კოლხური თეთრი

მარცხნივ მიმართული ლომის თავი (მსოფლიოში სულ სამი ასეთი მონეტაა ცნობილი. დაცულია ჰააგის, ბრიტანეთისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში).



გიორგი მესამის დროს მოჭრილი მონეტა

გიორგი მესამის (1156-1184 წწ.) დროს საქართველოში მოჭრილი მონეტა სპილენძისაა. მონეტას ქართული და არაბული წარწერები ამშვენებს. მონეტის მეორე მხარეს არაბულად წერია: "მეფე მეფეთა გიორგი, მე დემეტრესი, მესიის მახვილი". სპილენძის მონეტაზე გამოსახულ გიორგი მესამეს მარჯვენა ხელზე შევარდენი აზის. მონეტა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული.



გიორგი მესამე და თამარი

1178 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტა. მონეტაზე ვკითხულობთ: "გიორგი. ადიდენ ღმერთმა, მეფეთა მეფე". "თამარ. ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი".



თამარი - მონეტა 1187 წელსაა მოჭრილი

სპილენძის მონეტის ერთ მხარეს კარგად იკითხება თამარის ხელრთვა: "თამარ" და ქართული წარწერა. მონეტის მეორე მხარეს, ე.წ. "ზურგზე" არაბულად ვკითხულობთ "დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა თამარ, ასული გიორგისა, მესიის თავყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევენი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი".



ახალგორის განძი

ოქროს სამკაული (სასაფეთქლე საკიდები, საყურეები, ადრინდელი ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშებია. ახალგორული ტიპის ლაგმები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი.

ფიროსმანი



ნიკო (ნიკოლოზ) ასლანის ძე ფიროსმანაშვილი (ნიკო ფიროსმანი) (დ. 1862, სოფ. მირზაანი — გ. 1918, თბილისი) — ქართველი პრიმიტივისტი მხატვარი.

ფიროსმანაშვილის ნამუშევრები წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვართა I დიდ გამოფენაზე თბილისში 1918 წელს. 1920-იან წლებში იბეჭდებოდა წერილები პერიოდულ პრესაში, გამოიცა მისდამი მიძღვნილი კრებული. განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი ფიროსმანისადმი 50-იან წლების შემდეგ - გამოიცა წიგნები საქართველოში, რუსეთში, უცხოეთში. შეიქმნა ბიოგრაფიული ფილმი, დაიწერა მისდამი მიძღვნილი პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები; ფიროსმანის სურათების გამოფენა მოეწყო ყოფილ სსრკ-ის ქალაქებში და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში. მხატვრის ნამუშევართა დიდი ნაწილი ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

გრიფონის ბარელიეფი



სამთავისის ტაძარი. შიდა ქართლი. გრიფონის ბარელიეფი.

სამთავისის ტაძარი თავისი გეგმითა და ნაგებობის ტექნიკით მიეკუთვნება XI საუკუნის შიდა ქართლის ისეთ საუკეთესო ძეგლებს, როგორც არის კავთისხევის, ერთაწმინდისა და იკორთის ტაძრები, რომლებიც შემკულია მაღალსარისხოვანი ჩუქურთმებით. აკად. მ. ბროსეს თქმით, სამთავისის აღმოსავლეთ ფასადი შემკულია ისეთი მდიდრული ორნამენტებით, რომელთა მიხედვით იგი უნდა ჩაითვალოს ერთ ულამაზეს ძეგლად საქართველოში.



დავით IV-ის სპილენძის მონეტა, ტიპი – მეფე საიმპერატორო ტანსაცმელში

შუბლი: საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს. მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირგვინებული. თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული (სტემა, საიმპერატორო გვირგვინი). მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრული **ՄԺ** – დავით, მარჯვნივ – **ՅԲ** – მეფე.

ზურგი: მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: **†ՄԺՅԲԻՄԻԿԻ†ԿԻԿԸԸԸԸԸ** (ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა).



ოქროს თასი

ოქროს თასი. XIX-XVIII სს. ძვ.წ. თრიალეთი, ნალკა.
ოქროს ერთი ფურცლისგან დამზადებულ თასს ორმაგი კედელი და ღრუ ფეხი აქვს. ოქროს ბუდეებში ჩასმულია სარდიონი, ლაჟვარდი, წითელი იასპი, გიშერი, მინისებრი პასტა

მარიამ დედოფლის მონეტა 1070 წლის.



1056 წელს ბაგრატ IV-ისა და მისი მეორე მეუღლის, ზორენას ქალიშვილი მართა კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს შესაბამისი აღზრდა-განათლების მისაღებად.

1078 წელს ბიზანტიის სამეფო კარზე მორიგი გადატრიალება მოხდა. მიხეილ დუკა პარაპინაკი აიძულეს ზერად აღკვეცილიყო და იმპერატორად ნიკიფორე III ბოტანიაცე (1078-1083) გამოაცხადეს.

1081 წელს ალექსი კომნენოსმა, მარიამის დახმარებით, ტახტიდან ჩამოაგდო ნიკიფორე ბოტანიაცე და გააფხადა. ალექსი კომნენოსი დედოფალმა იშვილა იმ პირობით, რომ მის ვაჟს, კონსტანტინეს თანაიმპერატორად გამოაცხადებდა. ბიზანტიის სამეფო კარზე არ მომხდარა, რომ იმპერატორის ცოლყოფილი იმავე უფლებებში დაეტოვებინათ, მხოლოდ მარიამს ერგო ეს პატივი. მეტიც ის სრული ძალაუფლებით სარგებლობდა.

ცნობილია, რომ 1104 წელს მართა იმყოფებოდა საქართველოში და რუის-ურბნისის კრებასაც დაესწრო ძმასთან (გიორგი II) და ძმისშვილთან (დავით აღმაშენებელი) ერთად.

დაკრძალულია თრაკიაში მდებარე ერთ-ერთ მონასტერში, მის კუთვნილ მამულში, რომელიც მას ალექსი კომნენოსმა გამოუყო გადასახლებაში.

სპილენძი გიორგი IV ლაშა 1207-1210 წწ.



გიორგი IV ლაშა (დ. 1192 — გ. 18 იანვარი, 1223) — საქართველოს მეფე 1213-1223 წლებში. თამარ მეფის და დავით სოსლანის ძე.

1207 წელს თამარმა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. მისი საუფლისწულო დომენი ჯავახეთი იყო, რის გამოც იმ პერიოდის მონეტებზე „ჯავახთ უფლადაც“ მოიხსენიებოდა. თამარის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ერთპიროვნული მმართველი გახდა, მისი სურვილი იყო განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მთლიანობა და შემოემტკიცებინა ყმადნაფიცი ქვეყნები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს ვასალობისაგან გათავისუფლებას.